ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3343795

ნომერი: AR1511418

თარიღი : 06.06.2017

გაცემის თარიღი : 22.06.2017

გაცნობის თარიღი : 22.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის VI მ/რ კორპუსი 21-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გლდანი, VI მ/რ, კორპ N18-ს მიმდ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გია მურაჩაშვილი პ/ნ 01019011728
- თბილისი ჭ.ლომთათიძის ქ. N 82

ორგანიზაცია:
- ოქროს ხანა კოდი: 400121408

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ნოემბრის №2291022 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურs 2017 წლის 6 ივნისის AR1511418 განცხადებით მომართა მოქალაქე გია მურაჩაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში , გლდანის VI მ/რ–ში კორპუსი 21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.11.10.008.128) სამსახურის მიერ 2015 წლის 27 ნოემბრის №2291022 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირება. ამასთან, ითხოვს შენიშვნის დაფიქსირებას სამსახურის მიერ 2017 წლის 23 მარტის № 3150653 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და ცვლილება შევიდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 10 მარტის #1-399 ბრძანებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 10 მარტის #1-399 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესაძლებლობაზე, საკითხი განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს 2017 წლის 8 ივნისის #23 სხდომაზე, რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის #1–1443 ბრძანება და ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 10 მარტის #1-399 ბრძანებაში, #01.11.10.008.119 და #01.11.10.008.119 საკადასტრო კოდების დაფიქსირებით.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს 2015 წლის 27 ნოემბრის №2291022 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ასახოს ზემოთ ხსენებული ცვლილებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ნოემბრის №2291022 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმები 1) (საკადასტრო კოდი #01.11.10.008.128; ფართობი 907 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017250173; რეგისტრაციის თარიღი 03/04/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017470981, რეგისტრაციის თარიღი 05/06/2017 წ.); 2) (საკადასტრო კოდი #01.11.10.008.119 ფართობი 701 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882015484168; რეგისტრაციის თარიღი 27.08.15 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017266307, რეგისტრაციის თარიღი 06/04/2017წ.);
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ნოემბრის №2291022 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს შენიშვნა: „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, 2017 წლის 23 მარტის № 3150653 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ძალადაკარგულად ჩაითვალოს, წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლისთანავე.“;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ნოემბრის №2291022 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს 2017 წლის 8 ივნისის #23 სხდომის ოქმი და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის #1–1443 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ნოემბრის №2291022 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.